



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

## საინფორმაციო ფურცელი № D3d: ვიზა სკოლაში სწავლისთვის/მოსწავლეთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღებისათვის

იანვარი 2018

### ზოგადი ინფორმაცია

უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის მიხედვით ქვეყანაში ყოფნის უფლება სკოლაში (ხანგრძლივი) სწავლისათვის შეიძლება გაცეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. თუ უცხოელი მოსწავლის ცხოვრების და სწავლის ხარჯების გადახდას უზრუნველყოფენ მაგალითად მშობლები და სასკოლო განათლების დამთავრების შემდეგ მოსწავლე დადასტურებულად დაბრუნდება სამშობლოში, შესაძლებელია გამონაკლისების განხილვა.

როგორც წესი, ეროვნული ვიზის გაცემა სკოლაში (ხანგრძლივი) სწავლის მიზნით ხდება მხოლოდ მეცხრე კლასიდან. გამონაკლისი ამ წესიდან დადასტურებული ან საკმარისად დასაბუთებული უნდა იქნეს განაცხადის შეტანისას. გამონაკლისი შემთხვევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ შესაბამისი უწყებები გერმანიაში. ამ რეგულაციებში არ განიხილება მოსწავლეთა დროით შეზღუდული გაცვლითი პროგრამები.

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური საბუთები აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. ქართულ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

### ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [საგანაცხადო ანკეტა](#);
  - განმცხადებლის შემთხვევაში, რომელსაც ჯერ არ შეუსრულდა 18 წელი, განაცხადზე ხელი უნდა მოაწეროს მზრუნველობის უფლების მქონე ყველა პირმა.
  - თუ მზრუნველობის უფლების ერთ-ერთ პირს არ შეუძლია განაცხადზე ხელის მოწერა, მან წერილობით, ნოტარიულად დამოწმებული ფორმით უნდა განაცხადოს თანხმობა სავიზო განაცხადის შემოტანაზე.
  - ამ შემთხვევაში უნდა დაურთოთ ამ პირის პასპორტის ან პირადობის მოწმობის სურათიანი გვერდის ორი ასლი.
- პირადად ხელმოწერილი ორი განცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე (არასრულწლოვანი განმცხადებლის შემთხვევაში იხილეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია);
- სამოგზაურო პასპორტი (და სურათიანი გვერდის ორის ასლი);

#### მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულტო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**მნიშვნელოვანი მითითება:** სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადაადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს [www.tiflis.diplo.de](http://www.tiflis.diplo.de).

სატელეფონო ინფორმაცია:  
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399  
ინფორმაცია ელ. ფოსტით: [visa@tifl.diplo.de](mailto:visa@tifl.diplo.de)

- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- განმცხადებლის დაბადების მოწმობა,
- აქტუალური სკოლის ცნობა და აქტუალური ნიშნების ფურცელი,
- იმ ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობა, რომელზეც ჩატარდება გაკვეთილები
  - თუ სკოლაში სწავლის დაწყებამდე უნდა იაროთ ენის კურსებზე: რომელიმე გერმანული ენის სკოლის დასტური სკოლაში სწავლისათვის მოსამზადებელ ინტენსიურ ენის კურსზე ჩაწერის შესახებ, რომელშიც მითითებულია კურსის ადგილი, ხანგრძლივობა და ენის ცოდნის დონე კურსის დაწყებამდე და კურსის დამთავრების შემდეგ, ასევე სწავლის საფასურის გადახდის ცნობა.
  - გერმანული ენის ცოდნის დადასტურება შესაძლებელია აღიარებული სერტიფიკატების მეშვეობით (Goethe, Telc, ÖSD, TestDaF, DSH, Deutsches Sprachdiplom KMK). ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება შესაძლებელია IELTS-ის ან TOEFL-ის გამოცდების საკმარისი შედეგებით. მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში საკმარისია გერმანული ან ქართული სკოლის ცნობა ენის საჭირო ცოდნის შესახებ.
- მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში, რომელიც ხდება მოსწავლეთა გაცვლის საკითხებში მომუშავე ორგანიზაციის შუამდგომლობით:
  - ორგანიზაციის დასტური გერმანიაში მოსწავლეთა გაცვლის შესახებ,
  - მასპინძელი ოჯახის ან შესაბამისი ინტერნატის მოსაწვევი წერილი, სადაც დადასტურებულია, რომ ბინისა და კვების ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება.
- მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში, რომელიც ხდება მოსწავლეთა გაცვლის საკითხებში მომუშავე ორგანიზაციის შუამდგომლობის გარეშე:
  - მიმღები გერმანული სკოლის დასტური გაცვლის შესახებ, სადაც მითითებულია სახელმწიფოებს შორის გაფორმებული შეთანხმება გერმანულ-ქართული პარტნიორი სკოლების შესახებ.
  - მასპინძელი ოჯახის ან შესაბამისი ინტერნატის მოსაწვევი წერილი, სადაც დადასტურებულია, რომ ბინისა და კვების ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება.
- სკოლაში ხანგრძლივი, რეგულარული სწავლისას:
  - სკოლაში სწავლის მიზნით გერმანიაში ყოფნის უფლება გაიცემა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და პრინციპულად შესაძლებელია მხოლოდ მეცხრე კლასიდან. გამონაკლისი შემთხვევები ჩამოთვლილია [უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის ადმინისტრაციულ წესებში](#) (პუნქტი 16.5.2). დაშვებული გამონაკლისის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი საბუთებით განაცხადის შეტანის დროს.
- საჭიროების შემთხვევაში სხვა დამადასტურებელი საბუთები.
- განმცხადებლებისთვის, რომლებსაც ჯერ არ შეუსრულდათ 18 წელი:
  - მზრუნველობის უფლების მქონე პირთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ბავშვის მარტო გამგზავრებისა და გერმანიაში ხანგრძლივი (!) ცხოვრების შესახებ, ასევე

**მითითება:**

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულტაციო განყოფილება.

